შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

№10 (9.526)

30 მარტი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

უდაბნოს ავბედითი მირაჟი

(მინისტრი, გერმანული მხარე და ადგილობრივი მთავრობა კომპლექსურად იბრძვიან)

დედოფლისწყაროს რაიონში მოსავლიანობის გაზრდისა და გაუდაბნოების პროცესის წინააღმდეგ მიმართული სამუშაოები მიმდინარეობს. შირაქის ველზე გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და გერმანიის მთავრობის დახმარებით 100 ჰექტარის ფართობზე უკვე გაშენდა ქარსაფარი ზოლი და საპილოტე ტყის კორომი.

29 მარტს დედოფლისწყაროს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე სტუმრობდა.

რაიონში მიმდინარე სამუშაოები გარემოს დაცვის მინისტრმა პირადად მოინახულა და არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნო. როგორც მან აღნიშნა, გაუდაბნოებასთან ბრძოლა აქტიურ ფაზაში შედის. შეხვედრას ესწრებოდნენ გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები, რომელთაც თქვეს, რომ პროექტი გრძელდება და ქარსაცავი ზოლების გაშენება 1200 ჰექტარზე მოხდება, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გაუდაბნოებასთან ბრძოლის პროცესში. გოგა ხაჩიძე დედოფლისწყაროს მოსახლეობასაც შეხვდა და მათ ადგილობრივად წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ ესაუბრა.

გოგა ხაჩიძე ხალხთან შეხვედრისას ძალზე კონკრეტული იყო. „ნაწვერალის გადაწვა ჩვენი ფერმერებისთვის , სამწუხაროდ, ჩვეულებრივი რამ გახლავთ. საქართველოში ამ მავნე პრაქტიკას მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული რაც დამღუპველად მოქმედებს ისედაც დაქარულ, გამოფიტულ ჩვენს მიწაზე. ეს ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია იმ დამღუპველი პროცესისა, რასაც გაუდაბნოება ჰქვია. ეს აღარ არის მხოლოდ ზოგადი ტერმინი-ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც დედამიწას ყველგან უტევს. ეს უკვე კონკრეტული ჭირია, დედოფლისწყაროს რომ ემუქრება,- მიწა სულ უფრო ნაკლებ შემოსავალს იძლევა“- განაცხადა მინისტრმა. გერმანელმა ექსპერტმა დიტერ მიულერმაც დაადასტურა, რომ ევროპაში ეს მეთოდი, დიდი ხანია, ამოღებულია პრაქტიკიდან.

გოგა ხაჩიძემ ყურადღება გაამახვილა ტურიზმის საკითხებზე , ვაშლოვანის და ჭაჭუნას აღკვეთილის უნიკალურ შესაძლებლობებზე მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით — ჩვენ შემოვიყვანთ ტურისტებს , თქვენ კი რაიმე სერვისი ან პროდუქტი შესთავაზეთ, რომ ფული დახარჯონ და თქვენც მატერიალური სარგებელი ნახოთ. წამოვიდეს თქვენგან აქტივობები, შემოგვთავაზეთ საინტერესო ინიციატივები და პროექტები და ჩვენ გვერდში დაგიდგებით.

(გაგრძელება მე-3 გვ)

ქართული პროდუქტი გაიაფდება

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში ცვლილება შევიდა, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას დამატებითი ღირებულების გადასახადისგან ათავისუფლებს. საქართველოს პარლამენტის წევრის ავთანდილ ლეკაშვილის განმარტებით, ამ ცვლილების მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარებას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან მიმართებაში. საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილს ემატება „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე), ასევე, საქართველოში წარმოებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის და თხის ახალი ან გაცივებული ხორცის, აგრეთვე ყველის მიწოდება თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

კანონი დადებითად აისახება იმ პირებზე, რომლებიც ეწევიან საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. მათ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდებათ საგადასახადო ტვირთი, ვინაიდან აღარ მოხდება მასზე დღგ-ს დარიცხვა.პრეზიდენტის ინიციატივით ადგილობრივ პროდუქტზე ხარჯი 18 პროცენტით შემცირდა. მთავრობაში ფიქრობენ, რომ ეს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის რეალიზაციას ხელს შეუწყობს.

სტუმრად ძირძველ ქართველებთან

გვ. 2

არჩევანის უფლება

გვ. 3

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

სტუმრად ძირძველ ქართველებთან

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით კახის რაიონს საქართველოს ოფიციალური დელეგაცია სტუმრობდა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში გიორგი ღვინიაშვილი,საქართველოს პარლამენტის წევრები:გიგი წერეთელი, რუსუდან კერვალიშვილი, ფრიდონ თოდუა , ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი. მათ მოინახულეს რეაბილიტირებული კახის რაიონი და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. დელეგაციის წევრები საინგილოში მცხოვრებ ძირძველ ქართველებსაც შეხვდნენ.

„ხელისუფლების ყურადღება საინგილოში მცხოვრები ქართველების მიმართ მნიშვნელოვანია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ისტორიულ ჰერეთს ხშირად სტუმრობს და ამით ერთგვარ პატივისცემას გამოხატავს მათ მიმართ. ჰერებმა ხომ საუკუნეების მანძილზე ქართული ენა და ტრადიციები შეინარჩუნეს“-განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლევან ბაღაშვილმა.

ხელისუფლების წარმომადგენლები, ღონისძიების ფარგლებში, კახის რაიონის წმინდა გიორგის ეკლესიას ეწვივნენ და წმინდა გიორგის ხატი გადასცეს.

პროექტი – სოფლებში ქალის როლის გააქტიურებისთვის

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ორგანიზებით პროექტის „ადგილობრივი ქალების ინფორმირებულობის ამაღლების ხელშეწყობის კამპანა“ ფარგლებში სამდღიანი სემინარი გაიმართა.

როგორც „შირაქს” არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი”-დან აცნობეს, აღნიშნული სახის სემინარები საქართველოს 6 რეგიონის სხვადასხვა სოფლებში ჩატარდა.

პროექტი, რომელიც გერმანიის ,,საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ მხარდაჭერითა და ფონდ ,,ტასოს“ პარტნიორობით ხორციელდებოდა, 8 მარტს დასრულდა.

ორგანიზაციის ექსპერტების მიერ ჩატარებული სემინარები ეხებოდა სოფლად მცხოვრები ქალების ცოდნის ამაღლებას მათი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერებასა და დემოკრატიული პროცესების სტიმულირებას.

პროექტის მონაწილეები ეცნობოდნენ იმ უფლებებს, რომლიც მათ ენიჭებათ ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით. ასევე, მექანიზმებს, რომლიც ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შემცირებას უწყობს ხელს.

ორგანიზაცია ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ მიიჩნევს, რომ ქალთა ინფორმირებულობის ამაღლება ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რათა გაიზარდოს ქალების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არბოშიკში წყალმომარაგების ხარვეზები აღმოიფხვრა

რამდენიმე თვის განმავლობაში დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკს წყალი შეფერხებით მიეწოდებოდა. პრობლემის აღმოსაფხვრელად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 700 ლარი გამოიყო. ამიერიდან სოფლის მაცხოვრებლები სასმელ წყალს ყოველდღიურ რეჟიმში მიიღებენ.

როგორც გაზეთ „შირაქს“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან აცნობეს, სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულდა. მათი ცნობით, ეს თანხა სოფელში არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის ელექტრო ტუმბოს შეძენასა და მის მონტაჟს მოხმარდა.

„ამჟამად მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება საუბნო ონკანების მეშვეობით ყოველდღიურად ხორციელდება,“ — აცხადებენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, სოფელ არბოშიკში წყალსაქაჩი ძრავი ერთი წლის წინ დაიწვა, რის შედეგადაც 200-მდე ოჯახი ამ დრომდე სასმელი წყლის გარეშე რჩებოდა. არბოშიკელებს წყლის მოტანა 10 კილომეტრის მანძილიდან უწევდათ, რის გამოც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. იმის გამო, რომ გასულ წელს, სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხა არბოშიკში უკვე გახარჯული იყო, პრობლემის მოგვარება გაჭიანურდა. მოსახლეობა ძრავის შესაკეთებლად თანხების შეგროვების წინააღმდეგი იყო. სოფელ არბოშიკის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული რობიზონ დათუკიშვილი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რომ პრობლემა მარტის ბოლომდე მოგვარდებოდა.

გოროზია – წელს დაგეგმილია დაახლოებით 20 ათასი ჰექტარის გასარწყავიანება

სოფლის მეურნეობის მინისტრის ზაზა გოროზიას განცხადებით, 2012 წელს დაგეგმილია დაახლოებით 20 ათასი ჰექტარის გასარწყავიანება და 4 ათასი ჰექტარის დრენაჟირება.

მინისტრის თქმით, დაგეგმილია 4 ათასი ჰექტარის დრენაჟირება, შემოყვანილი იქნება 600 ცალზე მეტი ტრაქტორი, მოეწყობა სადემონსტრაციო ნაკვეთები. აღნიშნულ ნაკვეთებზე სამინისტროს პროგრამის ფარგლებში 40 ათასზე მეტ ფერმერს შეეძლება დაათვალიეროს თანამედროვე ტექნოლოგიებით გაშენებული ბაღები, სადაც მოსავლიანობა მინიმუმ 2,5-ჯერ უფრო მეტი იქნება.

„ჩვენი სურვილია, რომ ქართული ბაზარი ქართული პროდუქციით იყოს გაჯერებული“, - აღნიშნა ზაზა გოროზიამ. მისივე თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლის თანახმად საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) და ასევე, საქართველოში წარმოებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის და თხის ახალი ან გაცივებული ხორცის, აგრეთვე ყველის მიწოდება თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლებით.

პარლამენტის წევრად მოქალაქის არჩევა 21 წლის ასაკიდან იქნება შესაძლებელი

საქართველოს პარლამენტის წევრად მოქალაქის არჩევა 21 წლის ასაკიდან იქნება შესაძლებელი. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი პარლამენტში 29 მარტს იქნა ინიცირებული, რომელსაც ხელს პარლამენტის წევრები აწერენ.

საკანონმდებლო ინიციატივით მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

დღეს მოქმედი ნორმით კი, მინიმალური ასაკი 25 წელია.

მოსწავლეები გამგეობას კვლევის შედეგებს გადასცემენ

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები მუნიციპალიტეტის გამგეობას ზაფხულში დასაგეგმი ღონისძიებების თაობაზე საკუთარი კვლევების შედეგებს გადასცემენ. მოზარდები მოსახლეობის აზრს ქალაქ დედოფლისწყაროსა და მის მოსაზღვრე სოფლებში იკვლევდნენ.

პროექტს „დაგვეხმარე ზაფხულის დაგეგმვაში“ - დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი — „სპექტრი“, მასში გაწევრიანებული მოსწავლეების დახმარებით ახორციელებს და სოციოლოგიურ კვლევასა და ადვოკატირების კამპანიას მოიცავს.

როგორც სკოლის ადმინისტრაციაში აცხადებენ, პროექტი ორ ეტაპად ხორციელდება და მისი მიზანია 2012 წლის ზაფხულისთვის მზადების ხელშეწყობა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ზაფხულში დასაგეგმი ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის აზრის მიწოდების გზით.

პროექტის პირველ ეტაპზე ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომელიც 21 მარტს დაიწყო. სამოქალაქო კლუბის წევრებმა ილია ვარდიშვილმა და ქეთი ჩაფიაშვილმა კვლევა სოფლების სამრეკლოსა და ხორნაბუჯის, და ასევე დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლებში ჩაატარეს. გამოიკითხა 89 რესპოდენტი, მათ შორის მოსწავლეები და მასწავლებლები. მოქალაქეებმა ანკეტური პრინციპით დასმულ 10 შეკითხვას უპასუხეს, რის შემდეგაც მონაცემთა დამუშავების პროცესი დაიწყო, ხოლო 23 და 25 მარტს კვლევის მეორე ეტაპი განხორციელდა, რომლის დროსაც ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლისა მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე ქალაქის მაცხოვრებლები გამოიკითხა.

როგორც კლუბის წევრები განმარტავენ, პროექტის მიხედვით, გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტთა სავარაუდო რაოდენობა 300-ს შეადგენს. მონაცემთა დამუშავების შემდეგ შედეგების პრეზენტაციაა დაგეგმილი.

კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადებულ ანგარიშს „სპექტრი“ წარუდგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს და ჩაატარებს ადვოკატირების კამპანიას. სამომავლოდ, შესაძლებლობის შემთხვევაში, კლუბის წევრები მონაწილეობას მიიღებენ საზაფხულო ღონისძიებების ორგანიზებაში. კლუბის წევრებს კვლევების ჩატარების გამოცდილება უკვე აქვთ,“ - აღნიშნავენ სკოლის ადმინისტრაციაში.

ილია მარტყოფლიშვილი

ეროვნულ გამოცდებზე მთავარი უცხო ენა ინგლისური გახდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ უცხო ენად ინგლისური ენა აბიტურიენტთა 73%-მა აირჩია, რუსული ენა მხოლოდ 17-მა პროცენტმა, 7%-მა არჩევანი გერმანულ ენაზე, 3%-მა კი, ფრანგულ ენაზე გააკეთა.

„ეს უნიკალური და უმნიშვნელოვანესი შედეგი იმ რეფორმებითაა განპირობებული, რომელიც განათლების სისტემაში ტარდება. სულ რაღაც ორი წლის წინ ინგლისური ენა აბიტურიენტთა მხოლოდ 45%-მა აირჩია, ასევე 45%-მა არჩევანი რუსულ ენაზე გააკეთა და თანაფარდობა ერთი ერთზე იყო. ინგლისური ენის პოპულარიზაციის კუთხით დიდი წარმატება პირველ რიგში გამოიწვია პროგრამამ „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“. ამ პროგრამის ფარგლებში, ათასობით ინგლისურენოვანი პედაგოგი ჩამოვიდა საქართველოში ამერიკიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. უცხოელმა მასწავლებლებმა ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, ქართველ მოსწავლეებს ინგლისური ენა გაძლიერებულად შეასწავლეს, ისინი ასევე დაეხმარნენ ქართველ პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ეს ყველაფერი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საქრთველოში ინგლისური ენა დამკვიდრდა, როგორც მთავარი უცხო ენა“, -აღნიშნეს სამინისტროში.

უდაბნოს ავბედითი მირაჟი

(მინისტრი, გერმანული მხარე და ადგილობრივი მთავრობა კომპლექსურად იბრძვიან)

(პირველი გვერდიდან)

მინისტრი ასევე დაინტერესდა დედოფლისწყაროელთა პრობლემებით. ბატონი მინისტრი აქტიურად ჩაერთო მოსახლეობასთან დიალოგში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხები გასცა მოქალაქეთა შეკითხვებს.

„დედოფლისწყაროს ამინდის პროგნოზს ტელევიზიის არცერთი არხი არ გადმოსცემს, რაც ჩვენს უკმაყოფილებას იწვევს. ნუთუ არ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?“-იკითხა შეხვედრაზე მაყვალა ზურიაშვილმა. გოგა ხაჩიძე დედოფლისწყაროელებს დაპირდა, რომ ტელევიზიით ამიერიდან კვირაში ერთხელ მაინც მოხდება დედოფლისწყაროს ამინდის პროგნოზირება. მოსახლეობა შეეხო, აგრეთვე, საკმაოდ მტკივნეულ, მაწანწალა ძაღლების თემას: „მართალია, ვიცით, რომ ძაღლების დახოცვა არაჰუმანური საქციელია, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ადამიანებმა, რომელთაც ისინი საფრთხეს გვიქმნიან? რაღაც საშუალება ხომ არსებობს მათ საბრძოლველად“-აღნიშნეს დედოფლისწყაროელებმა. ამ პრობლემის მოგვარების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა ისაუბრა:“ მაწანწალა ძაღლების პრობლემა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ნაცნობი თემაა. ძაღლების გამრავლების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ღია ნაგვის ურნებია, სადაც ისინი საკვებს იოლი გზით შოულობენ. 2012 წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გეგმავს დახურული ნაგვის ბუნკერების მოწყობას, რაც გადაჭრის ამ პრობლემას“.

მინისტრმა სხვა სფეროებთან დაკავშირებული საკითხები ჩაინიშნა და შესაბამისი უწყებებისთვის მათი გადაცემის ვალდებულება ითავა. „ჩვენ გვაქვს გარკვეული აქტივობები დედოფლისწყაროში. აქ არის პრობლემები, რომელიც გაუდაბნოებას და ქარსაფარი ზოლების აღდგენას ეხება. ამის გარდა, ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომელიც დედოფლისწყაროს აწუხებს. მთავრობა კოლეგიალური ორგანოა და ყველა აქ წამოჭრილ პრობლემას კომპეტენციების შესაბამისად გავაცნობ ჩემს კოლეგებს. დედოფლისწყაროში კვლავ ბევრი პრობლემაა, თუმცა დღეს მოსახლეობის აქტივობიდან გამომდინარე ჩანს, რომ ადამიანებში არის ოპტიმიზმი, რომელიც არის არა რწმენაზე დაფუძნებული, არამედ რეალობიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ იმედი, რაც მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ხელისუფლების წარმომადგენლებს“.



ინგა შიოლაშვილი

არჩევანის უფლება

დიდი ხანია, მცირე მეწარმეები ფიქსირებული სახელმწიფო გადასახადის დაწესებას მოითხოვდნენ. და აი, მთავრობამ გაითვალისწინა მათი სურვილი და ჯერ მხოლოდ ორ კატეგორიას— პურის საცხობებს და სილამაზის სალონებს დაუწესა ფიქსირებული გადასახადი თვეში 50 ლარის ოდენობით 1 თონესა და 1 სავარძელზე. ეს ცვლილება ძალაში უკვე შევიდა. მისით სარგებლობა ნებაყოფლობითია, მეწარმეს აქვს არჩევანი - შეუძლია, გადავიდეს გადასახადის გადახდის ახალ სისტემაზე, ან დარჩეს ისე, როგორც იყო. ჩვენი აზრით, ეს ცუდი პირობა არ უნდა იყოს მეწარმეებისთვის, თუმცა, ვნახოთ, რა აზრის არიან თავად ისინი.

ინდმეწარმე ირინა ბაღდასაროვს, რომელსაც სილამაზის სალონი ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე საკუთარ ეზოში აქვს გახსნილი, 10—15 წელია, ამ საქმეს ემსახურება და, ასე ვთქვათ, თავისი სისტემატური მომხმარებელიც ჰყავს, მიაჩნია, რომ ეს არ არის დაუძლეველი თანხა. ის კმაყოფილია იმით, რომ კანონის ამ ცვლილებით მას მოეხსნა ვალდებულება, ისარგებლოს სალარო აპარატით, აწარმოოს ბუღალტერია, რომელიც ძალიან გართულებულია და დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს.

— საქმეს მხოლოდ ის ართულებს, რომ მომხმარებლის რაოდენობა დღითი დღე იკლებს. ხალხს ეკონომიურად ძალიან უჭირს და ამიტომ სალონის მომსახურების სიამოვნებაზე, ძალაუნებურად, უარს ამბობს. შემოსავალზე უარყოფითად აისახება, აგრეთვე, მიგრაციის პროცესი. მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ან დედაქალაქში გაიკრიფა საარსებო სახსრის საძებნელად. თუ ადრე მთელი დღე მუხლჩაუხრელი მუშაობა მიწევდა, ახლა დღეში შეიძლება 4-5 მომხმარებელიც კი სანატრელი იყოს. ამიტომ შემცირდა შემოსავალი და 50 ლარი, ჩვენი მდგომარეობის გათვალისწინებით, ცოტა ბევრია, თორემ ზოგადად, დატვირთული მუშაობისას, ნამდვილად ხელმისაწვდომია და პირობებიც მოსახერხებელი, -აცხადებს ირინა ბაღდასარივი.

ერთ-ერთი პურის საცხობის მეპატრონემ, რომელმაც ვინაობის დაფიქსირება არ ისურვა, განაცხადა: - გასულ წელს საშუალო თვიური გადასახადი 28 ლარი გამომივიდა. ჩვენს პირობებში 50 ლარი თონეზე ბევრია. ხალხს უჭირს, შეკვეთები ნაკლებია. უმრავლესობა ცდილობს, თავი სახლში ელექტროღუმელში გამომცხვარი პურით გაიტანოს, რომ იაფად გამოვიდეს. როცა ამ საქმეს მოვკიდე ხელი, ვიფიქრე, ერთი თონე არ მეყოფა-მეთქი და ორი თონე ჩავდგი, მაგრამ პრაქტიკულად ვერ დავტვირთე, მხოლოდ ერთ თონეს ვამუშავებ. ახლა ვნერვიულობ, იმ უმოქმედო თონეზეც თუ გადასახადი დამიწესეს, ალბათ გავჩერდები, თვეში 100 ლარის გადახდა შეუძლებელი იქნება. უკიდურეს შემთხვევაში ახალთახალი თონე, ალბათ, უნდა მოვანგრიო, ეს ხომ ზარალია. რაც შეეხება საბუღალტრო საქმიანობის და საკასო აპარატებიდან განთავიუფლების საკითხს, ნამდვილად მივესალმები.

ქალაქში ერთ-ერთი ხარისხიანი და საუკეთესო პურსაცხობის მეპატრონე ნუგზარ ტალიაშვილი კმაყოფილია ამ ცვლილებებით, თუმცა, უფრო ღრმად გვახედებს საქმის არსში და ასეთ განმარტებას გვაძლევს: - თვეში 50 ლარი 1 თონეზე არც ბევრია, მაგრამ არც ცოტაა. საქმე ისაა, რომ პური ორი კატეგორიის თონეში ცხვება - ერთი ტრადიციული, მამა-პაპური შოთის პურია შეშაზე გამომცხვარი, მეორე-განსხვავებული გახურების სისტემით აღჭურვილი, რომელიც შედარებით ნაკლებ შეშას მოიხმარს და ცხობის წარმადობითაც ორჯერ და შეიძლება მეტჯერაც აღემატება ტრადიციულს. ამ თონეში დიდი პურები ცხვება, ე.წ. „ბალიშით ცხობა“, მას უფრო ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე შოთს. ამიტომ, მე რომ 1 ტომარა ფქვილს გავხარჯავ, ის ორს გახარჯავს. შემოსავალიც ხომ ამაზეა დამოკიდებული. ამდენად ჩვენ, ვისაც თონიდან ამოსული დედას პურის სურნელით გვინდა თავი მოვიწონოთ, ცოტა ზარალში ვართ. მაგრამ ისიც გასაგებია, რომ მთავრობა ამ ნიუანსებს ვერ გაითვალიწინებს. აქ არჩევანი მეწარმეზეა. ზოგადად კი, ფიქსირებული გადასახადი გაცილებით მოსახერხებელია. ამ საბუღალტრო საქმიანობიდან და საკასო აპარატიდან ჩეკის ამორტყმის პროცესიდან რომ გავთავისუფლდებით, ნამდვილად ღირს 50 ლარის გადახდა. წარმოიდგინეთ, მცხობელი ხან თონეშია ჩაყუდებული, ხან ცომიანი ხელები აქვს და ორი ცხელი პურის კლიენტისთვის ხელი უნდა დაიბანოს, პური მისცეს და ჩეკი ამოარტყას, აბა, ცომიანი და ფქვილიანი ხელით საკასო აპარატს ხომ ვერ მოიხმარს. გულწრფელად გეტყვით, სულ შიშში ვიყავით, ყოველთვის ყველაფრის ანგარიშ-ფაქტურა ვერ გექნება. აბა, შეშის გამყიდველმა ფაქტურა საიდან უნდა მოგიტანოს. არადა,მოვა შემმოწმებელი და ერთბაშად 500 და 1000 ლარიან ჯარიმას დაგიწერს. ამ ახალი გადახდის მეთოდით კი ყველაფრისგან დაზღვეული ვიქნებით და ეს სიმშვიდე ნამდვილად ღირს 50 ლარად.

ასე რომ, რესპოდენტების კომენტარებიდან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდი გამართლდა: ფიქსირებული გადასახადი უფრო მოსახერხებელია მცირე მეწარმისთვის და ამას თუ გაითვალისწინებს მთავრობა და ყველა მცირე მეწარმეზე გაავრცელებს ამ ცვლილებებს, უკეთესი იქნება.

ნაირა გორაშვილი

დრო სწრაფად გარბის

გაზეთ ,,შირაქის“ რედაქციის ერთ-ერთ კაბინეტში დგას ერთი ჩვეულებრივი მაგიდა, სადაც ყველაფერი შესაშური სიკოხტავით არის ჩალაგებული - თაბახები, სპორტსმენთა სურათები, გაზეთის მრავალწლიანი და ზედმიწევნით სრული კომპლექტები, რამდენიმე წიგნი, ჟურნალები, ჩანაწერები და საფულეც კი, - ეს შოთა ბიკაშვილის ყოფილი სამუშაო მაგიდა გახლავთ. ბატონ შოთას საზოგადოების დიდი ნაწილი კარგად იცნობს, თუმცა, შესაძლოა გევრმა არ იცის, რომ ამ ჩუმი და უწყინარი კაცის უკან დიდი ადამიანი, კარგი კოლეგა, საკმაოდ ნაკითხი და იუმორით სავსე პიროვნება იმალება. თითქმის ნახევარი საუკუნე ,,შირაქის“ რედაქციაში მუშაობას შეალია, სულ რაღაც ორი წლის წინ ძუდი დაიხურა და მშვიდად, აუღელვებლად დატოვა რედაქცია. დღესაც ხშირად გვსტუმრობს, სამეზობლოში კვლავ ჩვენი გაზეთის გამავრცელებელია და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი აქტიური მკითხველიც.

— ბატონო შოთა, სადაური კაცი ხართ?

— მირზაანელი ვარ, ჯერ მაჩხაანის სკოლაში ვსწავლობდი, მერე არბოშიკის საშუალო სკოლაში, მედალზე მაქვს დამთავრებული. სწავლა ძალიან მიყვარდა, ისე, რომ უმაღლესში გასაუბრებით ჩავირიცხე. მამა— მირზაანის კოლმეურნეობის ერთ—ერთი ფუძემდებლ ი იყო— ილია ბიკაშვილი, ის 12 წელი სოფლის კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა, დედა დიასახლისი გახლდათ, კარგი მეურნე და კარგი მეოჯახე ქალი იყო, ის რომ პურს გამოაცხობდა ხოლმე, დღესაც მახსოვს, ისეთი სარეცხი იცოდა,რომ გაფენდა, სულ ქათქათებდა.

— ზოოტექნიკოსი გაზეთში როგორ მოხვდით?

— როგორ გითხრათ, თავადაც არ მკითხეს, ისე დამავალდებულეს გადმოსვლა. შირაქის მეფრინველეობის მთავარ ზოოტექნიკოსად ვმუშაობდი. იქ პარტორგი გახლდათ სოლომონ შანშაშვილი, მაშინ ორგანიზაციებში კედლის გაზეთები კეთდებოდა, რომელსაც მე ვაწარმოებდი, რადგან წერა კარგად მეხერხებოდა. როცა ჩვენი რაიონი სიღნაღს გამოეყო და ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა,შირაქიც დამოუკიდებელ გაზეთად აღიარეს. როცა გაზეთში კადრები დააკომპლექტეს, სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალისტი დასჭირდათ. ისეთი ადამიანი უნდოდათ, რომელსაც წერაც შეეძლებოდა და სოფლის მეურნეობაშიც გარკვეული იქნებოდა. რაიკომის მდივანი ამირან გონაშვილი გახლდათ, მან შესთავაზა ამირანს ჩემი კანდიდატურა —ამ საქმეში შოთა გამოდგებაო, ასე აღმოვჩნდი რედაქციაში, დავრჩი და დავრჩი.

— რამდენიმე ათეულწლიან ჟურნალისტიკურ მოღვაწეობას ითვლით, გასახსენებელიც ბევრი გექნებათ!

— 45 წელი ვიმუშავე რედაქციაში. ამ ხნის მანძილზე, წარმოიდგინეთ, რამდენი გასახსენებელი მექნება - იყო საიუბილეო საღამოები, უამრავი საინტერესო შეხვედრა, გვქონდა გასვლითი ღონისძიებები. პირადად მე გაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების სპეციალისტი ვიყავი და ხორბლის აღება დაიწყებოდა, შირაქის მინდორში დავდიოდი, ყურძნის კრეფა - რთველში, ცხვარს მთაში დავდევდი და ასე ვცხოვრობდი, რათა მკითხველამდე ნამდვილი და ზუსტი ინფორმაცია მიმეტანა. საკმაოდ საინტერესო მუშაობა გვქონდა, თუკი რამე მოხდებოდა პირველად ,,შირაქი“ უნდა გამოხმაურებოდა. გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდიოდა, საწერიც ბევრი იყო, სხდომები ტარდებოდა თუ გასვლითი ღონისძიებები ,,შირაქის“ გარეშე არაფერი ჩაივლიდა, მაშინ რაიკომის მდივნები დიდად აფასებდნენ გაზეთს და აქედან გამომდინარე სხვა ხელმძღვანელი პირებიც ჩვენდამი პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი. დიდი თანადგომა გვქონდა. არ ვიცი, ახლა როგორ ხდება, მაგრამ მაშინ რაიონის პირველი მდივნები ამირან გონაშვილი და გურამ ლოლაძე გვიბარებდნენ და ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ კრიტიკაც გვეწერა, გაგვეკრიტიკებინა თუნდაც რომელიმე სოფლის კოლმეურნეობის თავჯდომარე ან პარტმუშაკი, ისინი ამას ოფიციალურად ითხოვდნენ, თუმცა, ჩვენ ამას მოკრძალებულად ვაკეთებდით, რადგან ზომიერებას ვიცავდით.

— შვილებზე რას იტყვით?

— მყავს ორი შვილი, ლალი და მუხრანი და ხუთი შვილიშვილი. ლალის პედაგოგიური განათლება აქვს და უკრაინის ქალაქ კიევში ცხოვრობს, მისი შვილები წარმატებით გამოირჩევიან, 19 წლის



დავითი ნიჩბოსნობას მისდევს და ძალოსანია, 12 წლის სალომე კიევის ჩემპიონია და უკრაინის პრიზიორია, მან მესამე ადგილი აიღო მხატვრულ ტანვარჯიშში, 11 წლის ლუკა კი, ჯერ პატარაა. მუხრანმა სავაჭრო ეკონომიური დაამავრა და ამ განხრითვე მუშაობს, მას ჰყავს ორი ქალიშვილი, 3 წლის მარეხი და სულ პატარა ხატია.

— ახლა რომ საგაზეთო მასალის დაწერა მოგიწიოთ რა საკითხზე დაწერდით? ანდა ,როგორ შეფასებას მისცემთ ჩვენს სახეშეცვლილ გაზეთს?

— ახლანდელი გაზეთი ძალიან გაუმჯობესებულია, ხალხშიც დიდი მოწონებით სარგებლობს და დადებითი განწყობა აქვთ, კარგად აშუქებს რაიონის მოვლენებს და ამომწურავია ინფორმაციულად. ახლა ვისაც შეგნებულად უნდა რომ იქილიკოს, კი ბატონო, მაგრამ ნორმალური ხალხი მართლა ხელში მტაცებს ორშაბათობით გაზეთს. თუ რას დავწერდი ახლა სტატიად, ძალიან მიჭირს თქმა, მაგრამ ალბათ უფრო იუმორს, ცოტა იუმორი აკლია გაზეთს, ხალხს ხანდახან უფრო სახალისო სურს წაიკითხოს.

— ყველაზე ხშირად რაზე ფიქრობთ?

— მშვიდობიან მომავალს ვნატრობ, მინდა, ჩემი შვილები ძლიერ და წელგამართულ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, ეს კი, არც ისე შორსაა, მინდა, ცოტა ხანი კიდევ ვიცოცხლო და ცოტა ხანს ჩემს შვილებს და შვილიშვილებს ვუყურო.

— გაგიჭირდათ კალმის დადება?

— რა თქმა უნდა ძნელია, თითქმის ნახევარი ცხოვრება აქ გავატარე და ამიტომ უფრო გამიჭირდა, ძნელია, რადგან მოწყვეტილი ხარ საზოგადოებას, ახლა გაზეთს ვკითხულობ, ტელევიზორს ვუყურებ, მაგრამ გარეთ რომ გამოდიხარ და ხალხი გესალმება, ეს სულ სხვა შეგრძნებაა.

— კარგი იუმორი გაქვთ, კარგი ლექსის და ფელეტონების კითხვის დიდოსტატიც ხართ, იქნებ შემოგვთავაზოთ რამდენიმე!

— თითქმის ყველა მათგანი უკვე ნათქვამი მაქვს და საზოგადოების ნაწილმა იცის, ახლა ვერაფერს გავბედავ.

— ის მაინც მოგვიყევით, ქედებში კაფიაში რომ გაიმარჯვეთ..

— ზემო ქედში გოგი თოფაძე ჩამოვიდა და არჩევნების წინ ხალხს შეხვდა, შეხვედრას, სამსახურიდან გამომდინარე, მეც ვესწრებოდი, თოფაძემ სარეკლამო კამპანიის უკეთ წარსამართად ერთი მანქანა ლუდი ჩამოიტანა. შეხვედრის დასასრულს თქვა ასეთი რამ: ვინც ექსპრომტად ლექსს შექმნის მას დავასაჩუქრებო, გაიმართა ე. წ. კაფია, ქედელები, ხომ იცით, ნიჭიერი ხალხია და ეხერხებათ ლექსები. რაღა არ თქვეს, მეც მოცლით ვიყავი და დავწერე ერთი სტროფი ლექსი:

,,დღეს ლუდის დღეა ჯზეიმობთ,
ვადიდებთ დემოკრატიას,
ხმა მივცეთ კაცურ-კაცობას
გოგი თოფამის ჰარტიას“.

მოეწონათ ჩემი ნათქვამი და საჩუქრად გადმომცეს ერთი ყუთი ლუდი, რომელთანაც არც ისე უბრად ვარ.

— პოეზიის დიდი ტრფიალი რომ ხართ ამის შესახებ უკვე ვიცით, ვის გამოარჩევთ ყველაზე მეტად?

— გალაკტიონის, ლეონიძის, ასათიანის და ტიციანის პოეზია ჩემი სამაგიდო წიგნებია და თითქმის ყოველდღე ვკითხულობ მათ შემოქმედებას. საერთოდ, ძალიან მიყვარს წიგნები, ჩემი ბიბლიოთეკა ათასზე მეტ წიგნს ითვლის, რაც რაიონში 4—5 კაცს თუ ექნება. დღეს რომ ჩემი შვილები ასეთი ერუდირებულები არიან, სწორედ ოჯახში არსებულ დიდ ბიბლიოთეკას მივაწერ.

— თქვენი სპორტული ინტერესის შესახებ გვსმენია, ახლა ვის გულშემატკივრობთ?

— სპორტს ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი უკავია, მე თვითონ სპორტსმენი ვიყავი, მეორე თანრიგი მქონდა სიგრძეზე ხტომაში, ვთამაშობდი კალათბურთს, ფეხბურთს და ფრენბურთს. ფეხბურთში სკოლაშიც და უმაღლესშიც მეკარე ვიყავი (ეცინება იმ დროის გახსენებაზე).ვაფასებ გერმანიის და ინგლისის ნაკრებს, ჰოლანდიასაც არა უჭირს. ამაღამ უნდა ვუყურო ჩელსი—არსენალის უეფას ჩემპიონატის მერვედფინალს.

— როგორც ჭარმაგ ადამიანს, უნდა გკითხოთ, მაინც რა არის ცხოვრება?!

— ცხოვრება ერთი გაელვება ყოფილა, სადღაც ამოვიკითხე და მომეწონა ეს გამონათქვამი, გენიალურ მსახიობს და რეჟისორს ჩარლი ჩაპლინს უთქვამს — ,,ჩვენ ამ ცხოვრების დილეტანტები ვართ, თითქოს რაღაცას მივაღწიეთ და უკვე ვკვდებით“. მე ვეთანხმები, ასეთი ყოფილა ცხოვრება, ბევრი რამ მენანება, ბევრი კარგის გაკეთება შემეძლო და ვერ შევძელი, ვერ მივწვდი. ბევრ რამეს შევცვლიდი და სხვანაირად გავაკეთებდი, მაგრამ წავიდა ცხოვრება, თვალსა და ხელს შუა გაიპარა. ამიტომ ახალგაზრდებს მინდა გირჩიოთ, ვიდრე ახალგაზრდები ხართ, მოასწარით და თქვენი ჩანაფიქრები აისრულეთ, თორემ დრო ისე გაგექცევათ, ვერც გაიგებთ.

დრო მართლაც გაქცეულა, სულ რაღაც ერთ წელში ბატონი შოთა 80 წლის სრულდება, ჩვენ ამ იუბილეს, რა თქმა უნდა, მივულოცავთ და საკადრისადაც ავუღნიშნავთ.

ლალი მეხრიშვილი

ფუნქციამოშლილი მუზეუმი აღდგა

1984 წელს ქ. დედოფლისწყაროში გაიხსნა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმების ბავშვთა ნამუშევრების გალერეა. მან ბინა დაიდო ავტოსადგურის ყოფილ შენობაში, რომელიც მაშინ კულტურის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა.რადგან ავტოსადგურმა ახალმოსახლეობა შირაქის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე იზეიმა. მაშინდელმა მთავრობამ მიიჩნია, რომ ეს

ორი სატრანსპორტო საშუალება ერთმანეთის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო, რათა ხალხისთვის მგზავრობა გაადვილებულიყო. გალერეა აქტიურად ჩაერთო კულტურული ცხოვრების რიტმში, ეწყობოდა გამოფენები, შეხვედრები მხატვრებთან, სხვადასხვა ღონისძიება.

შემდეგ იყო მტკივნეული 1989 წლის 9 აპრილი, თავისუფლებისთვის დაღვრილი სისხლი, რომელიც ქართველერს მოურჩენელ ჭრილობად დარჩა. ამ დღეს დაღუპულ მამულიშვილთა პატივსაცემად ბავშვთა ნამუშევრების გალერეის ეზოში 1990 წლის 9 აპრილს მემორიალი გაიხსნა და მუზეუმსაც 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალური მუზეუმი ეწოდა. ასე იყო 2005 წლამდე, ვიდრე დავამ ავტოსადგურისა და მუზეუმის ხელმძღვანელობას შორის კულმინაციას არ მიაღწია. ავტოსადგური ყოფილი შენობის დაბრუნებას ითხოვდა, რადგან რკინიგზის სადგურმა ფუნქცია დაკარგა სახალხო მატარებლის სექციის გაუქმების გამო და კლიენტთა მოზიდვის კუთხით უფრო მოსახერხებლად ძველ შენობაში დაბრუნება ამჯობინა. მუზეუმს კი შირაქის ქუჩაზე არსებულ შენობაში ურჩევდნენენ გადასვლას, სადაც, არავითარი სამუზეუმო პირობები არ იყო. რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამაც არ გამოიჩინა გამოკვეთილი მხარდაჭერა და მუზეუმმა ფუნქცია დაკარგა. მუზეუმის მეთვალყურე **მაყვალა ბეგიაშვილმა** მუზეუმის მთელი ქონება საიმედოდ შეინახა და მოვლენათა განვითარებას დაელოდა. და აი, ეს დღეც დადგა: 2012 წლის 27 თებერვლიდან მუზეუმმა პირვანდელი ფუნქცია დაიბრუნა, ძველი ავტოსადგურის შენობაში დაფუძნდა ნ. ფიროსმანასვილის სახელმწიფო მუზეუმის დედოფლისწყაროს საგამოფენო დარბაზი. ორიოდე დღის წინ, 28 მარტს კი აქ გენიალური ქართველი თვითნასწავლი მხატვრის, ჩვენი კუთხის და ჩვენი ერის საამაყო შვილის ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. მუზეუმის ერთი დარბაზი დაეთმო ნ. ფიროსმანაშვილის სახელობის ქ. დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებს. აქ წარმოდგენილ 30—მდე ნამუშევარში პეიზაჟები და ნატურმორტები სჭარბობს. ნორჩი მხატვრების თვალით დანახული სამყარო, მართლაც, საინტერესოა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის ხელწერა გამორჩეული და თვალშისაცემია. მეორე დარბაზში ჩვენი მუნიციპალიტეტის სამი თვითნასწავლი მხატვრის ნამუშევრებია წარმოდგენილი. შოთა ჯამასპიშვილის, ვასილ ნასიძის და ბელა ლობჟანიძის ფერწერული ნამუშევრები მნახველთა მოწონებას იმსახურებს. ყურადღებას იპყრობს შოთა ჯამასპიშვილის ნახატი ,,მეცხრე“, რომელმაც ავტორს ლაურეატის წოდება მოუტანა.

გამოფენა საზეიმოდ გახსნა ნ. ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა. მან დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მთელ შემადგენლობას და მის გენერალურ დირექტორს ნიკა ვაჩეიშვილს, სამართლიანობის აღდგენაში გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

გამოფენის გახსნას უამრავი დამთვალიერებელი და მოწვეული სტუმარი ესწრებოდა როგორც საგენტოდან, ასევე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილემ ინა ავალიანმა, რომელმაც აღნიშნა:

— მიხარია, რომ ამ შესანიშნავ დღეს ერთად ვართ, მშვიდსა და სასიამოვნო გარემოში ვხსნით, უფრო სწორად, ფუნქციას ვუბრუნებთ მუზეუმს, რომლის სახელიც დიდ ნიკო ფიროსმანს უკავშირდება. მისი სახელი ხომ საამაყოა თითოეული ქართველისათვის. მინდა, გითხრათ, რომ ფიროსმანის სახლ-მუზეუმში ბევრი რამ გაკეთდა ბოლო წელს, გასაკეთებელიც კვლავ ბევრია. იმედი მაქვს, კახეთის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოწესრიდგება ყველაფერი და ჩავთვალოთ, რომ დღევანდელი დღით ქალბატონმა ნელიმ, რომლის ბრძოლიუნარიანობა, შემართება და ენთუზიაზმი შესაშურია, ტურისტული სეზონი გახსნა. ძალიან მომეწონა გამოფენაზე წარმოდგენილი პატარების თუ დიდების ნამუშევრები, როგორც ჩანს, ბევრი ნიჭიერი ბავშვი ჰყავს დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლას, რომელსაც დახმარება სჭირდება და ამას ჩვენს თავზე ვიღებთ.

—მადლობა დღევანდელი დღისათვის, მარტო ადგილობრივი ძალებით ვერ გავწვდებით ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, თქვენი სააგენტოს იმედი გვაქვს, ერთობლივი თანამშრომლობით უფრო ბევრს გავაკეთებთ, — თქვა თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილემ ზაზა ფიროსმანაშვილმა.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ სააგენტოს გენერალური დირექტორის მრჩეველი პეტრე კანკავა, იურიდიული სამსახურის უფროსი თეა ონიანი, სამუზეუმო საქმის ექპერტ—ზედამხედველები ვიოლეტა ბალახაშვილი და რობერტ მაღლაკელიძე, ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი მენეჯერი გიორგი ნაკაშიძე,მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილები ალექსანდრე ალუღიშვილი და ემზარ ჯანაშვილი, მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი, საკრებულოს დეპუტატები, გამგეობის თანამშრომლები, ორგანიზაცია—დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საგამოფენო დარბაზში ექსპოზიციის მოწყობისათვის და დიდი თანადგომისათვის ნ. ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა მადლიერების ნიშნად სამხატვრო სკოლის დირექტორს აკაკი მერაბიშვილს სამახსოვროდ გადასცა წიგნი „შეხვედრა ფიროსმანთან“.

გამოფენა რამდენიმე კვირას გასტანს. მსურველებს შეუძლიათ ეწვიონ სამუშაო დღის ნებისმიერ დროს. მიბრძანდით, თქვენ გიმასპინძლებთ საგამოფენო დარბაზის მეთვალყურე მაყვალა ბეგიაშვილი, რომელსაც მადლობა უნდა ვუთხრათ წლების განმავლობაში მუზეუმის ქონების პატრონობისა და შენახვისათვის.

ნაირა გორაშვილი



ვასილ ნასიძე

ბელა ლობჟანიძე

შოთა ჯამასპიშვილი

მოზარდი და ნარკოტიკი

ნარკოტიკი მსოფლიო ხალხებისთვის ერთ-ერთ დაუმარცხებელ სენად იქცა, სენად, რომლითაც ადამიანები თავისი ნებით ავადდებიან. მეცნიერები, რომლებიც ნარკომანიის პრობლემებზე მუშაობენ, მიიჩნევენ, რომ ხელშემწყობი პირობების არსებობის შემთხვევაში ნარკომანი ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება გახდეს. ნარკომანია, ეს უმძიმესი სენი, საქართველოშიც მოუგვარებელ საკითხთა ნუსხაშია. ის მოსწავლეებსაც შეეხო, ბოლო პერიოდში მოზარდებში შეიმჩნევა მისი მატების მკვეთრი ტენდენცია. ამ პრობლემის სათავედ მძიმე სოციალური ფონი სახელდება. გაჭირვებული ოჯახების შვილები, რომელთაც მშობლები მათხოვრობისთვის იმეტებენ, ყველასგან მიტოვებულები ქუჩაში წებოს სუნთქვას იწყებენ, მოგვიანებით კი კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკსაც უსინჯავენ გემოს.

მაინც როდის და როგორ ინტერესდება მოზარდი ნარკოტიკით?- ამ კითხვაზე ფსიქოლოგების პასუხი ასეთი გახლავთ:

- სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აკრძალულით დაინტერესება უმთავრესად გარდატეხის ასაკში ხდება. ეს ურთულესი პერიოდი მოიცავს ადამიანის ცხოვრებას 12-13-დან 17 წლამდე. ამ ასაკში ორგანიზმში ნეიროენდოკრინოლოგიურ ძვრებთან ერთად მიმდინარეობს მკვეთრი ფსიქოლოგიური ცვლილებებიც. აქამდე თუ ბავშვი მთლიანად მშობლებზე იყო დამოკიდებული, ამიერიდან იწყება პერიოდი, როდესაც იგი მოიპოვებს ნაწილობრივ დამოუკიდებლობას და სრული დამოუკიდებლობისთვის ემზადება. ამ დროს ბავშვის ფსიქიკა ძალზე ფაქიზი და მგრძნობიარეა. ცხოვრებისეულმა ფსიქოტრავმებმა, რომლებიც ამ ასაკში განსაკუთრებით მძაფრად აღიქმება, შეესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა მოახდინოს მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამ პერიოდში იწყება მოზარდის ნარკოტიკებით დაინტერესებაც. ერთი მხრივ, მძიმე სოციალურმა პირობებმა განაპირობა 10-12 წლის "ქუჩის ბავშვების" ტოქსიკომანობა. ბავშვები, რომლებიც ოჯახისა და თავის სარჩენად ქუჩაში გამოდიან სამათხოვროდ, უმეტესად იაფფასიან წებოს ყნოსავენ. წებოს ძლიერი ტოქსიკურობის გამო ისინი ადვილად ავადდებიან და ხშირად 17 წელსაც ვერ აღწევენ. მათი ცხოვრება ტრაგიკულად მთავრდება. მეორე მხრივ, ნარკოტიკებით ხშირად ინტერესდებიან საშუალო და შეძლებული ოჯახების შვილებიც. მათი პირველი ნარკოტიკი, წესისამებრ, არის "პლანი" - მარიხუანა. საუბედუროდ, საქართველოში გავრცელებულია მცდარი შეხედულება, თითქოს ეს ნარკოტიკი საშიში არ იყოს. ყველას გასაგონად აღვნიშნავ: "პლანი" არის ერთ-ერთი ძლიერმოქმედი ნარკოტიკი, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში ძლიერ ფსიქიკურ ცვლილებებს იწვევს. ხშირია კანაბოიდური (პლანისმიერი) ფსიქოზი, რომელსაც ადამიანი ზოგჯერ ფსიქიკურ დაავადებამდეც კი მიჰყავს. კიდევ უფრო მავნეა მანაგუა, რომელსაც იმავე მარიხუანასგან ხარშავენ და სვამენ.

- როგორ იცვლება "პლანით" გაბრუებული ბავშვის ფსიქიკა?

- პლანით გაბრუებული ბავშვის ფსიქიკა რეალისტურად ვეღარ აღიქვამს სამყაროს, მისი ხედვა და აღქმა სწრაფად მახინჯდება. ბოლოს, როცა ე.წ. "იზმენების" გამო პლანს ვეღარ ეწევიან, მაგრამ ფხიზლად ცხოვრება აღარ შეუძლიათ, იწყებენ უფრო სერიოზული ნარკოტიკების ძიებას და ინტრავენურ მოხმარებას. გარდატეხის ასაკში ყველაზე მეტად მძაფრდება პროტესტის გრძნობა, აკრძალულის მიღების მოთხოვნილება, იწყება თვითდამკვიდრების ახალი გზების ძიება. ამ დროს ბავშვი ყველაზე მეტად გრძნობს თავის პოტენციალს, მაგრამ აქვს მინიმალური ცხოვრებისეული გამოცდილება. იცის მოზრდილი ადამიანის უფლებები და თავადაც მიისწრაფვის მათკენ, მაგრამ ჯერ არ გაუცნობიერებია, რომ ამ უფლებებს თან ახლავს მოვალეობები და პასუხისმგებლობაც.



- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, რომლის შვილს გარდატეხის ასაკი უდგას?

- ბავშვის ჩამოყალიბება გარდატეხის ასაკში კი არა, ჩასახვისთანავე იწყება. მუცლადყოფნის პერიოდი ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ყველაფერი, რასაც მშობელი განიცდის, გარკვეულ გავლენას ახდენს ბავშვის არაცნობიერზე. ამქვეყნად ყველა იმისთვის იბადება, რომ წარმატებას მიაღწიოს. დაბადების მომენტიდანვე ყოველი ჩვენგანის ძირითადი მოთხოვნილებაა, მიიღონ და აღიარონ. თუ ყველა მშობელი შეეცდება, თავიდანვე სწორად აღზარდოს შვილი, ჰქონდეს მასთან მეგობრული ურთიერთობა, შეძლოს ბავშვის მოსმენა, დაინახოს მასში დამოუკიდებელი პიროვნება, გახდეს ავტორიტეტი საკუთარი შვილისთვის, მაშინ გარდატეხის პერიოდიც რადიკალური ცვლილებების გარეშე ჩაივლის.

მშობლის როლი განუსაზღვრელია, განსაკუთრებით კი გარდატეხის ასაკში, როცა ადამიანი ბავშვობის ასაკიდან გამოდის და საკუთარი თავის ძიების პროცესშია. ამ დროს შეცდომის დაშვების რისკიც დიდია. მოზარდისთვის საუკეთესო მრჩეველი ის მშობელი აღმოჩნდება, ვინც შვილის ნდობას მოიპოვებს.

მსოფლიოს მასშტაბით მოხმარება

ნებისმიერი სახის ნარკოტიკული საშუალება თავის ტვინზე მოქმედებს. ნარკოტიკები აქვეითებს ისეთ მენტალურ ასპექტებს, როგორიცაა ფიქრისა და განსჯის უნარი, კონცენტრაცია, ფიზიკური აქტივობა, ემოციები და ცნობიერება. ისინი ფსიქოტროპულ საშუალებებს წარმოადგენენ.

ნებისმიერი პრეპარატის დიდი დოზით და ხანგრძლივად გამოყენება ადამიანის ორგანიზმისთვის საზიანოა. ასე რომ, საზოგადოება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გაკონტროლებას და დარეგულირებას ტრადიციების, რელიგიური აკრძალვების, სოციალური წეს-ჩვეულებებისა და კანონის საშუალებით ცდილობს. ბევრ ქვეყანაში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისას კანონის ძალით ისჯება როგორც გამსაღებელი, ასევე მომხმარებელიც.

ჩრდილოეთ აფრიკის ბევრ ნაწილში მარიხუანის მოწევა კანონის ძალით არ იკრძალება და მას თითქმის ყველგან ეწევიან. თუმცა, ასეთ ადგილებში ალკოჰოლის მიღებაა არალეგალური. მუსლიმანურ ქვეყნებში ალკოჰოლი საერთოდ აკრძალულია. სამხრეთ ამერიკაში კოკაინის მოხმარება ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორიც ბრიტანეთში - ჩაის დალევა.

რატომ?

ნარკოტიკების მოხმარების მთავარი მიზეზია "სტიმულაცია", რომელიც ერთი ჭიქა ყავიდან იწყება და ღამის კლუბებში მიღებული აბებით მთავრდება. ნარკოტიკები მომხმარებელს ეხმარება თავი უფრო ხალისიანად და ენერგიულად იგრძნოს, უფრო კონტაქტური და ენაწყლიანი იყოს.

ადამიანები ნარკოტიკული საშუალებების მიღებით ცდილობენ გაექცნენ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: სტრესი, ფულთან დაკავშირებული უსიამოვნებები, მუშაობის დატვირთული გრაფიკი, უმუშევრობა, დანგრეული ოჯახები, დაკარგული მეგობრობა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ხომ ჩვენი ყოველდღიური ყოფისათვის არის დამახასიათებელი. სუსტი ნებისყოფის ადამიანები ვერ უმკლავდებიან წარმოქმნილ პრობლემებს და რეალურ ცხოვრებას გაურბიან. ისინი ნარკოტიკების მიღებით ცდილობენ შეიქმნან ფანტაზიებით სავსე სამყარო, სადაც რეალური არაფერია.

ნარკოტიკების მოხმარების კიდევ ერთი გავრცელებული მიზეზია მიმბაძველობა. ხშირად ადამიანი ნარკოტიკების მოხმარებას მხოლოდ იმიტომ იწყებს, რომ მის გარშემო არსებულ წრეებში ყველა ნარკომანია.

ნარკოტიკების მიღებით გამოწვეული პრობლემები

ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებით, უამრავი პრობლემა არსებობს. მაგალითად, ნარკოტიკებისაგან მიღებული ნებისმიერი შეგრძნება დროებითია და როგორც კი ეს ეფექტი გაივლის, მომხმარებელი რეალურ სამყაროს უბრუნდება ნარკოტიკების საფასურის გამო გამოცარიელებული ჯიბითა და მისი ზემოქმედების ქვეშ დაკარგული დროით.

ჭარბი რაოდენობით ყველაფერი მავნეა და ეს, პირველ რიგში, ნარკოტიკებს ეხება. ნარკოტიკების ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ორგანიზმი და, განსაკუთრებით, თავის ტვინი ზიანდება. სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ერთ ჯერზე გამოყენებულ დიდ დოზასაც.

მაგალითად, დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღება ადამიანს დროებით თავის ჭირ-ვარამს ავიწყებს, თუმცა თავშეკავების უნარს ასუსტებს და ადამიანი ყოველგვარი სიფრთხილის შეგრძნებას კარგავს. როგორც წესი, ასეთ მდგომარეობაში ადამიანები ჩხუბობენ, უბედურ საგზაო შემთხვევებს იწვევენ და საფრთხეში აგდებენ საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

მთავარი პრობლემა ის არის, რომ ნარკოტიკები შეჩვევას იწვევენ. ნარკოტიკის განმეორებით მიღების შედეგად, ადამიანი მასზე დამოკიდებული ხდება. მომხმარებელი მის რეგულარულ გამოყენებას იწყებს და თანდათანობით დოზას უმატებს.

მიჩვევა

ადამიანი ნარკოტიკზე ან ფსიქოლოგიურად, ან ფიზიკურად დამოკიდებული ხდება, ან ორივე ფაქტორი ვლინდება. ფსიქოლოგიური გამოკიდებულება (ჩვევაში გადაზრდა), ძირითადად, თავის ტვინიდან მომდინარეობს. მომხმარებელი გრძნობს, რომ იგი ჯანსაღად ვერ აზროვნებს, თუმცა ნარკოტიკზე უარის თქმა არ შეუძლია. ფიზიკური დამოკიდებულების დროს (ნარკომანია — მკვეთრად გამოხატული ავადმყოფული ლტოლვა ნარკოტიკული ნივთიერებისადმი) ორგანიზმის ნერვული სისტემა, კუნთები, გული და სხვა ორგანოები ამ საშუალებების გარეშე, უბრალოდ, ვერ ფუნქციონირებს.

ჩვეული ნარკოტიკების მიღების შეწყვეტა იწვევს მძიმე ფიზიკურ შეგრძნებებს. ამ არასასიამოვნო მდგომარეობის დასაძლევად ნარკომანი კვლავ ღებულობს ნარკოტიკულ საშუალებას. ნარკოტიკების ხანგრძლივი მოცმარება იწვევს ორგანიზმის ქრონიკულ ინტოქსიკაციას; კლინიკური სიმპტომებიდან დამახასიათებელია კანის სიყვითლე, კანისა და ლორწოვანი გარსების სიმშრალე, არტერიული სისხლის წნევის დაწევა, მოტორული რეფლექსების მოდუნება, სქესობრივი პოტენციის დაქვეითება, მენსტრუაციული ციკლის დარღვევა, ყაბზობა, უმადობა, წონაში დაკლება. იცვლება ნარკომანის ფსიქიკაც, აღინიშნება ინტერესების შეზღუდვა, სულიერ მოთხოვნილებათა სიღარიბე და ეგოიზმი.

კოკაინის შესუნთქვის დროს შესაძლოა დაზიანდეს ცხვირი ან სასუნთქი გზები, შპრიცის გამოყენებისას კი, არასტერილური ნემსის გამოყენების შედეგად, შეესაძლოა მომხმარებელს ჰეპატიტი ან შიდსი შეეყაროს.

თავის დანებება

ნარკოტიკზე თავის დანებების რამდენიმე გზა არსებობს. ესენია:

* სხვა სპეციალური პრეპარატის მიღება სამედიცინო მეთვალყურის ქვეშ;
* ფსიქოთერაპია;
* საერთო გამაჯანსაღებელი მკურნალობა;
* თვითდახმარების ან ყოფილი მომხმარებლების ჯგუფში გაერთიანება;
* ნარკოტიკულ ცენტრში რეაბილიტაცია;
* ხალხმრავალი ადგილებისაგან მორიდება;
* ყველა პუნქტის გათვალისწინება.

მკურნალობა გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, წარმატება კი მომხმარებლის სურვილსა და მოტივაციაზეა დამოკიდებული.

ზოგჯერ სპორტსმენები და ათლეტები იღებენ ანაბოლისტურ სტეროიდებს და ამფეტამინებს. მათი მოხმარება აკრძალულია ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების მიერ.

ნარკოტიკული საშუალებები დანაშაულთან ასოცირდება. ძარცვა, ყაჩაღობა და სხვა სახის კრიმინალი ხშირად ხორციელდება ნარკოტიკების შეძენის მიზნით. ეს განსაკუთრებით იმ ნარკოტიკებს ეხება, რომელთა საფასურიც საკმაოდ მაღალია.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ვისი სახელი ჰქვია შენს ქუჩას?

ბიძინა მაზიაშვილი

როგორც ვიცით, ადგილობრივი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ქალაქ დედოფლისწყაროს ზოგიერთ ქუჩას სახელი შეეცვალა. მაგალითად, სადგურის ქუჩას ბიძინა მაზიაშვილის სახელი ეწოდა. ძველმა და საშუალო თაობამ კარგად იცის, ვინ იყო ბიძინა მაზიაშვილი, ახალმა თაობამ კი ნაკლებად. ბიძინა მაზიაშვილი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ფიგურა გახლდათ სპორტის სამყაროში. „ძიუდოს პაპად“ წოდებული. ეს ლეგენდარული სპორტსმენი ჩვენი თანამემამულე იყო. ის 1928 წლის 9 მაისს სოფელ ზემო მაჩხაანში დაიბადა. აქ გაიარა მისმა ბავშვობამ, აქ დაამთავრა საშუალო სკოლა და მისი სპორტული კარიერაც დაიწყო. ის იაპონური ჭიდაობის ერთ-ერთმა სახეობამ–ძიუდომ დააინტერესა.

ქართველი მოჭიდავეები ძიუდოისტთა შეჯიბრში პირველად 1957 წელს გამოვიდნენ, როცა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდების ამხანაგური შეხვედრა გაიმართა.

მაშინ საბჭოთა კავშირში ძიუდოს სპორტული ჯგუფები ჯერ კიდევ არ იყო და ნაკრებში სამბისტები შეიყვანეს, მათ შორის ბიძინა მაზიაშვილიც იყო. ქართული ჭიდაობიდან მოსულ ფალავნებს ეიოლებოდათ იაპონური ჭიდაობის დაუფლება. ბიძინა მაზიაშვილმა ადვილად აუღო ალღო ახალ მიმართულებას. ჯერ თბილისში, მერე კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ძიუდოს ათობით ჯგუფი ჩამოაყალიბა. მისი აღზრდილები არიან სახელოვანი სპორტსმენები, სხვადასხვა ტიტულის მფლობელები ჭიდაობა ძიუდოში: ევროპის ჩემპიონი ანზორ მარტყოფლიშვილი (ისიც ზემო მაჩხაანელია), ჯიბილო ნიჟარაძე, გივი ონაშვილი, რამაზ ხარშილაძე, ფარნაოზ ჩიკვილაძე, გურამ გოგოლაური, ამირან მუზაევი და სხვები. ბატონი ბიძინა სამბისტებსაც ავარჯიშებდა. მისი მონაფეები იყვნენ გენადი გიორგაძე და მალხაზ ბერუაშვილი. მან დააარსა თბილისში ძიუდოს დარბაზი. ათეული წლობით იყო საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი, 1970–81 წლებში ის საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი იყო. მის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი მსოფლიოს მასშტაბით მიღწეული წარმატება.

ბიძინა მაზიაშვილი 1990 წელს მიწვეული იყო იაპონიაში, რათა მათთვის ესწავლებინა ქართული ჭიდაობის ელემენტები.

2000 წელს ის დასახელდა ასწლეულის ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის და მიენიჭა “საუკუნის მწვრთნელის” წოდება.

1997 წლის 14 სექტემბერს, საქართველოში ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის ბიძინა მაზიაშვილი დაჯილდოვდა “ღირსების ორდენით”.

იგი 2004 წლის 14 ოქტომბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია ზ ემო მაჩხაანის საგვარეულო სასაფლაოზე.

ნაირა გორაშვილი

გამოსათხოვარი

დარეჯან ბატიაშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, ქართველი პოეზიის დიდი მეხოტბე და თავადაც მშვენიერი ლექსების ავტორი პოეტი დარეჯან ბატიაშვილი. ქალბატონი დარეჯანი 1929 წლის 5 ივლისს დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. აქ მიიღო საშუალო განათლება და მას მერე დედაქალაქში ცხოვრობდა, თუმცა მშობლიურ ფესვებს არასდროს მოსწყდომია. ქალბატონი დარეჯანის შემოქმედებას კარგად იცნობენ დედოფლისწყაროელი პოეზიის მოყვარულები, რადგან მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის და გაზეთ „შირაქის“ ერთობლივი ძალებით მოეწყო მასთან შეხვედრა და მისი შემოქმედების გაცნობა საზოგადოების ფართო ფენებისთვის. მის კალამს ეკუთვნის ლექსების სამი კრებული: „კენტი ფანჯარა“, „გათოშილი გულის ზღაპარი“ და „ტანჯვით კურთხევა—კურთხევა ზეცის“. თავად ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ ძმისშვილები და მათი შვილები საკუთარ შვილებად მიაჩნდა. საქართველოს და თავისი ქიზიყის სიყვარული მუდამ პირველ ადგილზე იდგა მის პოეზიაში. კომუნისტურ რეჟიმში გაზრდილ—დაღვინებულს ღმერთის რწმენა არ დაუკარგავს. ქვემოთ გთავაზობთ ერთ—ერთ ლექსს, რომელიც ნათლად გამოხატავს მის დამოკიდებულებას უფლის მიმართ. ჩვენც შევთხოვთ ღმერთს, ნათელი დაუმკვიდროს მის სულს. ჩვენ კი მუდამ გვემახსოვრება ერთი ფაქიზი სულის ქალბატონი და მისი შემოქმედება.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

ეძღვნება ღმერთს

მეგონა, მუდამ მარტო ვიყავ,
თურმე სასტიკად ვცდებოდი,
ღმერთო,
შენი სიტყვა და შენი იგავი,
თურმე ნუ იტყვი, ღველფოვით მენთო.
ჩემში ახლა სულ სხვაგვარადა ყღერს,
ცისკრის ვარსკვლავის გამონათება,
მე მხოლოდ ვხედავ დღეს შენს
მირაკებს
და მეხატება გულზე სამება.
ფიქრის ლაშქარი სხვაგანა ქროდა,
შენ ჩემს სიცოცხლეს ხატავდი,
ღმერთო,
მე კი სულ სხვათა იმედი მქონდა,
ნება მიბოძე, რომ შენ მოგენდო.
ვერც ჟრიამულში ვიპოვე შვება,
ვერც სიწყნარეში გავძელ უშენოდ,
ყველა დავრდომილს შენგან ეშველა,
შენა ჰკურნავდი ბრმას და უენოს.
შენზე უკეთესს სხვას ვის მივენდო,
ან სხვას ვით ვუმღვნა ქება—დიდება,
მიშუამდგომლებს შენთან იესო
და ჩემი ბედი გამობრწყინდება.
გაქვს მეუფება ცისა და მიწის,
მე მაქვს შენდამი ღრმა მოწიწება,
შენსკენ საშველად დღეს ხელებს
ვიწვდი,
ღმერთო, მასწავლე მე მოთმინება.
ოღონდ მითხარი, საით გამოგყვე
და ყველარისთვის მზადა ვარ,
ღმერთო,
რომ რწმენის ლოცვა ბაგეს აღმოხდეს
და სიყვარული ღველფოვით მენთოს.
ეს, მე კი არა, ვერვინ ამოხსნა
ცრუ წუთისოფლის ცრუ გამოცანა,
გრძნობის აჩრდილი მეოფნის
ამბოხად,
წლების ფიალა რომ გამოსცალა.
შენ ყველას ღმერთო და ერთადერთო,
მსურს, შეისმინო ჩემი ვედრება,
გადმოაბიჯებ როს ღრუბლის ერდოს,
შენად მიგულე მოსაფერებლად.

მონატრება

დავით კოჭლამაზაშვილი

დათო, 2 აპრილი შენი დაბადების დღეა, 50 წლის უნდა გამხდარიყავი. 48 წლის ასაკში გაჩერდა შენი გული, გული, რომელიც დიდ სითბოსა და სიყვარულს იტევდა მშობლების, ცოლ-შვილის, შვილიშვილების, ძმის და ყველა ახლობლების მიმართ. წახვედი ჩვენგან და ენით აუწერელი ტკივილი დაგვიტოვე. გაუსაძლისია უშენოდ ყოველი წუთი. უსასრულოა ჩვენთვის შენზე ფიქრი. 50 წელი ხომ საიუბილეო წელია და დიდი სიხარულით უნდა აღგვენიშნა. შენ კი გამოუთქმელი ტკივილით და ცრემლით შეგვიცვალე. შენც ძალიან გინდოდა სიცოცხლე, მაგრამ მოურჩენელმა ავადმყოფობამ სძლია შენს ჯანმრთელობას და ხელიდან გამოგვაცალა შენი თავი. ძალიან ჩქარობდი ცხოვრებაში: 19 წლისა მამა გახდი, 39 წლისა - პაპა! შენს შვილიშვილებს ყოველდღე ახსენდები - პაპა ზეციდან გვიყურებსო. ყოველ წუთს ელოდი მათ მოსვლას. დაურეკავდი შენს ქეთის და ეტყოდი, ჩქარა მოდით, ძალიან მენატრებითო. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა, შენი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს დრო ვერ აყუჩებს.

შენი ნაადრევად წასვლით სევდამ და მწუხარებამ საბოლოოდ დაიდო ბინა შენი მშობლების, ძმის, მეუღლის და შვილების გულებში.

ვთხოვ უფალს: – უფალო იესო, რადგან ინებე დათოს განმორება ჩვენთან, შენი კაცთმოყვარეობით მიუტევე გარდაცვალებულსა ყოველი შეცოდებანი მისი. სიტყვითნი თუ საქმითნი, რადგან არ არის ადამიანი, რომელიც არ სცოდავს ამ ქვეყანაზე. დაუმკვიდრე სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი

გიორგი აბიათარი



ჩემო ერთადერთო, ლამაზო შვილო, გიორგი, პატარა ბავშვივით გიხაროდა ყოველთვის აპრილის მოახლოვება — 5 აპრილი ხომ შენი დაბადების დღეა. ასე იყო 2008 წლის 5 აპრილსაც, შენ 18 წელი შეგისრულდა და ახლობლებთან ერთად მხიარულად აღნიშნე. ვაი, რომ ბოლო დაბადების დღე გამოდგა ის შენთვის. მერე კი 27 მაისს მოხალისედ წახვედი სავალდებულო ჯარში, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დედისერთას, იმუნიტეტი გიცავდა. ცუდად დაიწყო შენი მეცხრამეტე წელი. 2008 წლის აგვისტოს ომმა შეიწირა შენი ლამაზი, ჭაბუკური სიცოცხლე. დედის სიყვარული სამშობლოს სიყვარულს ანაცვალე. ძალიან მიჭირს უშენობა, ჩემო გმირო ბიჭო! ძნელია ახლა ჩემთვის 5 აპრილის მოსვლა. შენ 22 წელი უნდა შეგსრულებოდა. დედა ყოველთვის მოვა შენს საფლავზე, სადაც სულ მუდამ იფრიალებს საქართველოს დროშა. მოვალთ, დაგინთებთ სანთლებს, მოგიტანთ ყვავილებს და გავიხსენებთ შენს ალალ - მართალ სიყვარულს. შენ ხომ ყოველთვის მოგქონდა ჩემთვის პირველი ყვავილები და მოწიწებით მილოცავდი დედის დღეს.

ძალიან მიჭირს უშენობა, ჩემო სიცოცხლევ, მაგრამ რა ვქნა, ღმერთს ვეხვეწები, მალე შეგვახვედროს ერთმანეთს.

ჩემო სიცოცხლით სავსე, ჩემო გმირო ბიჭო, ნათელში იყავ. დაე, ბუმბულად იქცეს შენს გულზე დაყრილი სამშობლოს მიწა. სულ მუდამ გენთოს სანთელი.

ლიზა აბიათარი.

გია გონაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, რეზო ბარბაქაძე, გურამ ნიკოაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, სოსო გოგაშვილი, ომარ ალადაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დალი ლეკაშვილს და ნოდარ გივიშვილს დედის

ქეთევან როჯიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

არხილოსკალოს საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები და კლასის დამრიგებელი მარიამ გვრიტიშვილი მწუხარებით იუწყებიან მეთერთმეტე კლასის მოსწავლის

პავლე წიკლაურის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს

მეზობლები: გივი ლომიძე, ალავერდა ნასრაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, ნაზი მოსაშვილი, ალიკა სულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დალი და ნოდარ რობიტაშვილებს დედის

ქეთევან როჯიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

გთხოვთ მოგვატყუოთ

(ოღონდ მხოლოდ 1 აპრილს)

ყველას მწარედ გვახსოვს ტელეკომპანია იმედის საინფორმაციო "მოდელირებული ქრონიკა", საქართველოში რუსი ჯარის ვითომდა შემოჭრას პირდაპირ ეთერში რომ გადასცემდა. 2008 წელს ასეთი რამ უკვე მომხდარი იყო, ხალხი დაიზაფრა, დაიწყეს ახლობლებთან რეკვა და ამას სატელეფონო კოლაფსი მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. სანამ ყველაფერი გაცხადდა, საქართველოს მოსახლეობამ გვარიანად ინერვიულა და მხოლოდ ცოტა ვინმე თუ მიხვდა, რომ ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერებოდა, მაგრამ იმ დღეს 1 აპრილი არ ყოფილა და რატომ გადაიცა ეს ინფორმაცია, იმ მომენტში, ყველაზე გამჭრიახებიც ვერ მიხვდნენ.

1957 წელს ინგლისის ტელევიზიით "ბი ბი სის" დიქტორმა განაცხადა, რომ შვეიცარიის მაკარონის პლანტაციებში სპაგეტის არნახული მოსავალი მოვიდაო. ამას, ავტორის აზრით, ხელი შეუწყო, ჯერ ერთი, რბილმა ზამთარმა და მეორე მხრივ, რაღაც უცნობი მიზეზით, გაქრა სპაგეტის პლანტაციის მავნებელი ჭია. რეპორტაჟის ბოლოს გაიმართა დისკუსია სპაგეტის სელექციის წარმატებულ ექსპერიმენტზე, რისი გამოისობითაც მიიღწევა ოპტიმალური სიგრძისა და ხარისხის მაკარონი.

ეს საპირველაპრილო ხუმრობა პირდაპირ ეთერში ნახა 7 მილიონმა კაცმა. მათგან რამდენიმე ათასმა ტელეკომპანიაში დარეკა. ისინი ინტერესდებოდნენ სპაგეტის მოყვანის წესებით თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებისათვის. ტელევიზიის თანამშრომლები, რომლებიც დაიღალნენ გულუბრყვილო მაყურებლის გადარწმუნებით რომ მაკარონი ხეებზე არ იზრდება, ასეთ "რეცეპტს" იძლეოდნენ: ჩაყარეთ სპაგეტი ტომატის სოუსიან ქილაში და ბედს მიენდეთო.

მასშტაბურად იხუმრა 1998 წელს ჰამბურგერების მწარმოებელმა უმსხვილესმა ფირმამაც. აშშ -ს ერთ - ერთ წამყვან გაზეთში გამოაქვეყნა ახალი ჰამბურგერის რეკლამა, რომელიც ვითომდა სპეციალურად ცაციებისათვის შექმნეს. "სპეციალური ჰამბურგერი ამერიკის შეერთებული შტატების 32 მილიონი ცაციასთვის!"- ღაღადებდა რეკლამა. მეორე დღეს სწრაფი კვების ობიექტების ფილიალებში ათასობით ადამიანი ითხოვდა ახალ ჰამბურგერს, ხოლო კიდევ რამდენიმე ათასი - ნორმალურ, ძველ ჰამბურგერს, იმ მოსაზრებით, მის ჭამას მიჩვეულნი ვართო.

საქართველოში - ანეგდოტების ქვეყანაში, სადაც უბოროტოდ დავცინით და ვეხუმრებით ერთმანეთს, კუთხე - კუთხეს, უბანი - უბანს, ზარმაცობას, წინდაუხედაობას და სხვა ადამიანურ სისუსტეებს, ხელისუფლებასაც შევუნდობთ საპირველაპრილო უწყინარ ტყუილს, თუნდაც ისეთს, სულ ახლახანს რომ უჩვენა "ბი ბი სიმ"ტელევიზიით, როგორ დაფრინავენ პინგვინები, რომელთა ეს უცნობი სახეობა, ვითომდა ახლახანს აღმოაჩინეს ანტარქტიდში, მაგრამ რად გინდა, სად არის რო ასეთი ხალისი.

ისღა დაგვრჩენია, გული არ გავიტეხოთ და ინდივიდუალურად ვიმოქმედოთ. კოლეგას რამე წვრილმანი მოვატყუოთ და მივაძახოთ - დღეს პირველი აპრილია..

მიხეილ მღებრიშვილი

ულოცავენ!

ვიოლეტა ნატროშვილს!

ქალბატონო ვიოლეტა, გილოცავთ დაბადების დღეს, გვინდა, რომ ისე, როგორც ყოველთვის, მუდამ სიხარულით აღსავსე გვენახეთ, არასოდეს ჩაგემუხლოთ თქვენი ცხოვრების მანძილზე, იყავით კიდევ უფრო წარმატებული და ბედნიერი თქვენს დიდ ოჯახთან ერთად, არასოდეს წაშლილიყოს თქვენს სახეზე ღიმილი. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, წყალობდეთ უფალი.

პატივისცემით და დიდი სიყვარულით,
ნიაზი ჯანაშვილი და ლალი მეხრიშვილი

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ იუბილეს, შენ ჩვენს კოლექტივში დიდი სიხარული შემოიტანე, ხარ კარგი კოლეგა და საუკეთესო თანამდგომი თითოეული ჩვენგანისთვის, ჩვენ ერთი გუნდი ვართ, რომელიც შენი თაოსნობით ერთ დიდ საქმეს ვემსახურებით, ძალიან გვიყვარხარ და გვეიმედები, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს და თქვენი გეგმების სრულყოფილად განხორციელებას.

დიდი პატივისცემით,
სოფელ ზემო მაჩხაანის ამბულატორიის თანამშრომლები

დედოფლისწყაროელი ჩემპიონები

25 მარტს თელავში ჩატარდა რეგიონული ტურნირი კიკ-ბოქსინგში, სადაც დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბიც მონაწილეობდა. ტურნირის ორგანიზატორი იყო კონტაქტური ორთაბრძოლების და საბრძოლო ხელოვნებათა რეგიონული ფედერაცია. ამ შეჯიბრზე ჩვენი კლუბიდან ჩემპიონები გახდნენ: გიორგი მარტყოფლიშვილი (1 სკოლა), ლევან წიკლაური (რუსულ-ქართული სკოლა) და ირაკლი ნატროშვილი (1 სკოლა), ხოლო მეორე ადგილზე გავიდა თორნიკე ელიზბარაშვილი (რუსულ-ქართული სკოლა). შეჯიბრის მსვლელობისას დამსწრეთა და მსაჯთა დიდი მოწონება დაიმსახურა გიორგი მარტყოფლიშვილმა რომელმაც მოწინააღმდეგე მეორე რაუნდში ტექნიკური ნოკდაუნით დაამარცხა. შეჯიბრზე ასევე მონაწილეობდნენ ახმეტის, ალვანის, დუისის და გურჯაანის გუნდები.

იყიდება

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:
571 55 99 51; 595 97 99 01. იკითხეთ ლია. საწყისი ფასი: $4 300

უხვი მოსავალი — ნაკლები ხარჯი

თხევადი ორგანული სასუქი „ორგანიკა“

თხევადი ორგანული სასუქი „ORGANICA“ არის ქართული წარმოების ერთადერთი სასუქი, რომელსაც მოპოვებული აქვს ევროკავშირის ბიო სერტიფიკატი. 2011 წელს მიჩნეულ იქნა საუკეთესო ბიოინოვაციად. მიენიჭა ხარისხის ნიშანი QC100 და ლონდონის გალა ცერემონიაზე დაჯილდოვდა საერთაშორისო ხარისხის ოქროს გვირგვინით. „ორგანიკა“ ოფიციალურად დაშვებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოსაყვანად როგორც საქართველოში, ასევე ევროპის ქვეყნებში.

სასუქი განსაკუთრებით ეფექტურია ორგანულ მეურნეობებში და გამოიყენება ისეთი კულტურების მოსაყვანად, როგორიცაა:

- ვაზი
- სიმინდი, ხორბალი, მზესუმზირა და სხვა მარცვლოვანი კულტურები
- თხილი და მრავალწლიანი ნარგავები
- საზამთრო, ნესვი, მარწყვი და ბაღჩეული
- მწვანილი, ხახვი, ნიორი და სხვა ბოსტნეული
- კივი, ლიმონი, მანდარინი და სხვა ციტრუსები.

მოხმარების კონკრეტული წესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და სასუქის შესაძენად (1 ლიტრი — 6 ლარი) შეგიძლიათ მიმართოთ კახეთის თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში მდებარე შხამქიმიკატების მაღაზიებს და სხვა სარეალიზაციო პუნქტებს. ასევე, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომრებზე:

www.organica.ge

5(99) 14 28 57,
გურჯაანი: 599 33 40 20
თელავი: 599 54 64 92
საგარეჯო: 577 95 58 46
სიღნაღი: 599 96 55 28; 599 64 79 14
დედოფლისწყარო 599 799 399

სუფთა მიწა — ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი

ამინდი — დედოფლისწყარო

	პარასკევი 30.03	შაბათი 31.03	კვირა 01.04	ორშაბათი 02.04	სამშაბათი 03.04	ოთხშაბათი 04.04	ხუთშაბათი 05.04
დღე	13°	14°	9°	12°	10°	7°	10°
ღამე	3°	6°	6°	9°	6°	6°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 8 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K